26 აგვისტოს (7 სექტემბერს). 1866. № 26. პირველი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

	ბაგზავნით Ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ:
	...ბრთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
	...10-ის თვისა — 6 —	— — — 5 —
	...ნვარის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
	...ამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

...ალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„ДРОЕБА“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ДРОЕБА

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

Ტფილისში „ДРОЕБИС“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

Ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „ДРОЕБАЗЕДَ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება

პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „ДРОЕБИС“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ფული.

შინა-არსი: მმართებლობის განკარგულება:—ტფილისის რეალურის გიმნაზიისგან. პოლიტიკა:—ავსტრია.—პრუსსია.—იტალია. ტელეგრამმები. სალიტერატურო ნაწილი:—სახელმწიფო და აღზრდა. ახალ-გაზდა დედებს და ყმაწვილს ქალებს. სხვა და სხვა ამბავი:—ცნობა ...ეების გაქცევაზედ სიბირში.

მმართებლობის განკარგულება.

ტფილისის რეალურის გიმნაზიისგან. ...კასიის იქითის და კავკასიის აქეთის სასწავლებლების ინსპექტორის შუამდგომლობით, დიდმა მთავარმა ნამესტნიკმა განაწესა, რომ მოსავალს $18^{66}/_{67}$ წ. თვითოეულმა რეალურის გიმნაზიის მოწაფემ უნდა შეიტანოს გიმნაზიაში სწავლისთვის ხუთი მან. პედაგოგიურს რჩევას შეუძლიან არ მოსთხოვოს ეს ფული იმ მოწაფეს, რომელიც კარგათ სწავლობს და ამასთან წარმოადგენს თავის შეუძლებლობის მოწმობას.

ტფილისის რეალური გიმნაზია 1-ის წარსულის მკათათვიდამ გადატანილია ახალს ნაქირავებს სახლში, რომელიც ეკუთვნის მოქალაქეს ივანე კარლოვს და იმყოფება კუკიაში, მიხაილოვის და რეუტოვის ქუჩებზედ, სომხის ღვთის-მშობლის ეკკლესიის პირდაპირ, რომელიც ახლა შენდება. 5 მომავალს სექტემბერს იქნება ამ ახალის შენობის გათვლა და 6-ს ამავე თვეს დაიწყება სწავლა. მისაც ჰსურს მოხსენებულს გიმნაზიაში შესვლა, იმის გამოცდა დაიწყება 6 სექტემბრიდამ 15 სექტემბრამდის, დღესასწაულების გარდა, ყოველ დღეს, 10 საათიდამ ნაშუადღის 2 საათამდის. მისაც ჰსურს, რომ მისცეს თავისი შვილი ამ სასწავლებელში, ის შეიტანს თხოვნას უბრალო ქაღალდზედ ამ გიმნაზიის დირექტორის სახელით. ამ თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები: 1) ვისი შვილია; 2) მეტრიკის მოწმობა დაბადებაზედ და ნათლობაზედ; და 3) მოწმობა მრთელის აგებულობისა და ყვავილის აცრისა.

პოლიტიკა.

ავსტრია. ერთი სლავიანური გაზეთი აცხადებს უმთავრესს აზრს იმ პროგრამმისას, რომელიც წარმოუდგენიათ სლავიანების მოფიდერალეებს (ჩეხებს და პოლშელებს). საპროვინციო სეიმები (კრებანი) უწინდებულათ უნდა დარჩნენ. სამის სეიმიდგან (ბალიციიდამ, ...ოვით თურთ და ბუკოვინით, ჩეხეთიდამ, მორავიიდამ, სილეზიიდამ და სხვა გვირგვინის მიწებიდამ) უნდა გაიგზავნონ დეპუტატები მცირეს ან ნაკრულს რეიხსრატში; და სრულს რეიხსრატში კი იქნებიან შეყრილნი დეპუტატები ვენგრიის სეიმისა და სამის ზემოხსენებულის სეიმებისა. ამბობენ, ვითომც ეს პროგრამა შეედგინოთ უუ. რიგერს, ბრაუნერს, პალაცკის და გრაფს ბოლუხოვსკის.

—როგორც ერთი ვენის გაზეთი ამბობს, იმპერატორს ნაპოლეონს მიუცია წინადადება, რომ სახელმწიფო ვალის გადახდაში მცხოვრებლების რიცხვის შესაფერ ვენეციელებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამ რიგათ ვენეციას ერგება წილში 175 მილლიონის გულდენის გადახდა; ამ რიცხვიდამ უნდა გამოირიცხოს 65 მილლიონი გულდენი, რომელიც არის საკუთრათ ვენეციის ვალი. ამის გარდა დანარჩენი 110 მილლიონი გულდენი იტალიის მთავრობამ უნდა იკისროს თავის თავზედ. ამ ფულად რასაკვირველია ღირს ყველა ციხეები და სხვა უძრავი ქონება, რომლებსაც ავსტრია დაუთმობს იტალიას.

ვენის კაბინეტის ცვლილება. ავსტრიის საფინანსო მინისტრი გრაფი ლარიში სამსახურიდამ დაეთხოვა. იმის ადგილზედ დანიშნეს ბარონი ბოკი, რომელიც იყო მრჩეველად იმავე სამმართველოში. უეჭველია ამ-პერატორის კაბინეტში სხვა ცვლილებაც მოხდება. ამბობენ, რომ გრაფს მენსდორფსაც დაითხოვენო სამსახურიდამ. იმის მაგივრად უცხო ქვეყნის საქმის მინისტრად დანიშვნენ ან ბარონს ქიუბეკს, რომელიც იყო უწინდელის ბერმანიის სეიმის პრეზიდენტი, ან არა და ბარონს ბრენნერს, რომლის ხელის მოწერითაც უნდა დამტკიცდეს პარიჟის ტრაქტატი.

პრუსსია. ეი ტექსტი იმ კანონის პროექტისა, რომელიც განიხილეს პრუსსიის პარლამეტში და რომელიც შეეხება აღმორჩევითი სიმართლეს ჩრდილოეთ-ბერმანიის სეიმისათვის.

„ფყალობითა ღვთისათ., ჩვენ ვილჰელმი კაროლი პრუსსიისა და სხვა, სეიმის ორივე პალატის თანხმობით გიბძანებთ:

§ 1. „აღმომრჩეველად გახდომა შეუძლიან ყოველს პრუსსიელს, რომელიც არ არის გაკიცხული არა ვითარს საქმეში და რომელიც არის ოცდა-ხუთის წლისა. § 2. აღმომრჩეველის სიმართლე არა აქვთ: 1) პირებს, რომელნიც სხვის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან; 2) პირებს, რომლების ქონებაც საყოველთაო გასასყიდათ არის აწერილი და რომელთაც შეუძლებელად იცნობენ; 3) პირებს, რომელთაც სახელმწიფოსგან ანუ თემისგან ეძლევათ, ან თუ აღმორჩევის წინა წელს სძლევიათ შემწეობა. § 3. ბაკიცხულნი და ამის გამო გამორიცხულნი აღმომრჩეველების რიცხვიდამ უნდა ითვლებოდნენ პირნი, რომელთაც კანონით ჩამორთმევიათ სამოქალაქო სიმართლენი, თუ ეს სიმართლენი ისევ არ დაუბრუნებიათ იმისთვის. § 4. დეპუტატათ შეიძლება აღმოირჩეს ყოველი პრუსსიელი, რომელიც შექნილა ოცდა ხუთის წლისა და რომელიც სამის წლის განმავლობაში მაინც ყოფილა სახელმწიფო წევრი. § 5. ის პირები, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებიან, სეიმში დასასწრებათ არ საჭიროებენ მთავრობის ნება-რთვას. § 6. საშუალო რიცხვით ყოველს 100 ათასს სულზედ უნდა აღმოირჩეს ერთი დეპუტატი. 50 ათასზედ მეტი სული შეადგენს ერთ მაზრას, რომელსაც შეუძლიან აღმოირჩიოს თავისი დეპუტატი. ყოველი დეპუტატი ცალკე მაზრაში უნდა აღმოირჩეს. აღმოირჩევითი მაზრები, ხმების მიცემის გასაადვილებლად, დაიყოფებიან უჩასტკებათ. § 8. ვისაც უნდა, რომ აღმოირჩევის ნება ჰქონდეს აღმოირჩევითს მაზრაში, ის უნდა სცხოვრებდეს ამ მაზრაში აღმოირჩევის დროს. თვითოეულს პირს შეუძლიან აღმომრჩეველად მარტო ერთს ადგილში იყოს. § 9. თვითოეულს მაზრაში აღმოსარჩეველად უნდა შეადგინონ სიები, სადაც უნდა ჩაიწეროს სახელი, გვარი, წლოვანება, ხელობა და ადგილსადგომი იმ კაცებისა, რომლებსაც აღმომრჩეველობის სიმართლე აქვთ. ეს სიები აღმოირჩევამდის ოთხის კვირის წინათ უნდა გამოცხადდნენ საყოველთაო საცნობლად. ამ სიებზედ შეუძლიანთ საჩივარი გამოაცხადონ 8 დღის განმავლობაში იმის შემდეგ, რაც ისინი გამოცხადებულან....აღმორჩევაში შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ იმათ, რომელნიც ჩაწერილნი არიან სიებში. § 10. აღმოირჩეველი უნდა იყოს საყოველთაო. იქ უნდა მოუწოდონ თემის წევრებს, რომელნიც სახელმწიფოსა და სათემო სამსახურში არ არიან. ხმის მიცემა აღმორჩევაში უნდა მოხდეს ან ბილეთებით და ან ხელის-მოწერით. § 11. აღმორჩევა პირდაპირია. აღმორჩევა გადაწყდება იმ ხმების უმეტესობით, რომელნიც მოგროვდნენ მთელს მაზრაში. თუ კანონიერი ხმის უმეტესობა არ აღმოჩნდა, მაშინ აღმოირჩევენ ორს კანდიდატში იმას, რომელსაც მეტი ხმა ერგო. თუ ორთავეს ხმები რიცხვით თანასწორია, მაშინ საქმე წილის ყრით უნდა გადასწყდეს. § 12. დეპუტატის მაგივრად სხვა კაცი არ უნდა აღმოირჩეს. რადგანაც ახლანდელის კანონით არარიან დაწესებულნი აღმორჩევითი მაზრები და უჩასტკები, არ არიან დანიშნულნი დირექტორები, რომელნიც ჰმართვენ აღმორჩევის დროს და რომელნიც თვალ-ყურს ადევნებენ აღმორჩევას, ამისთვის ეს ყველა მმართებლობამ უნდა დააწესოს.

იტალია. სადემაკრაციო ხაზი, რომელიც გაავლეს იტალიისა და ავსტრიის შუა მოკლეს-ხნის შერიგების დროს. ფლორენტინის გაზეთში 31 ივლისიდამ (12 აგვისტოდამ), სწერენ:

ქომორნსში ოტტას-ხნის შერიგების გამო გაავლეს სადემარკაციო ხაზი უწინდელს საზღვარზედ, ოთხ-კუთხის გარშემო, მდინარეს პომდის; შემდეგ ეს ხაზი გაჰყვება პოზედ ოსტიგლიოომდის, მერმე სწორედ გაიღლის ადიჟამდის, ლენიანოს გარს დასტოვებს სარტყელს და აჰყვება მდინარე ალნონეზედ ტიროლის საზღვრამდე. ციხების გარშემო სარტყელი $7^1/_2$ კილომეტრზედ არის შემოფარგლული.

ფრიულში ხაზი გაივლის უწინდელს საზღვარზედ და გაჰყვება ზღვის ნაპირებს მდინარეს ტორრემდის, შემოუვლის ციხეს პალმანუოვას, გაჰყვება მდინარეს ტორრეს ტარენტომდის. შემდეგ ეს ხაზი უწევს ტალიამენტოს, შეჰყვება მდინარე ტალიამენტოს პალმეცლომდის და გაივლის მთების ბლანკის, ავენის, ძროციოს და ძოლიანოს ზურგებზედ. არხებზედ და მდინარეებზედ თავისუფლათ იმოგზავრებენ. ოტტა-ხნის შერიგებაარის ოთხი კვირის ვადით დამყარებული. ის შეიძლება კიდევ გაგრძელდეს, თუ ისევ ომი არ გამოუცხადეს მებრძოლე სახელიწიფოებმა ერთიერთმანეთს.

—პადუიდამ იწერებიან, რომ ავსტრიის ციხეების კომენდანტებმა, რომელნიც ვენეციის მაზრაში იმყოფებიან, მიიღეს ბძანება, რომ იმათი ხელქვეითი გარნიზონები გაგზავნონ ვენას. პოლიტიკურნი დამნაშავენი, რომელნიც იყვნენ დატუსაღებულნი შუაგულს ავსტრიაში, განათავისუფლესო და იმათ შეუძლიანთ დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებში. ყველა ავსტრიის პოლიციის აგენტები, რომლებიც იტალიელნი იყვნენ შთამომავლობით, დაითხოვეს თავიანთ სახლებში.

—ლენერალმა ბარიბალდიმ გამოუცხადა თავისი იმედი ეოლონტერებს, რომ ისინი არ დაარღვევენ არც ერთს მოკლე-ხნის შერიგების პირობებს და დაემორჩილებიან ყოველს ბძანებას თავიანთ უფროსებისას.

—[illegible] ...ბენ, ამ უკანასკნელს დროს ნეაპოლში ისევ გაძრიელებულან ავაზაკები. უწინდელს ავაზაკების თაბუნს შეუერთდა კიდევ ორი უფრო დიდი თაბუნი, რომლებსაც წინამძღომლობს ორი შვეიცარიელი: ფრიდრიხი მარსე და ძრისტიანე ქელლერი, რომელნიც საშინლათ აოხრებენ ბოლტურნის ხეობას ქაპუის გარემო. ერთი ქალაქის სანაციონალო გვარდიის უფროსი ტყვედ წაუყვანიათ. მტაცებლებლებმა ქალაქის რიარდოს სანაციონალო გვარდიის უფროსი ცოცხლად დასწვეს. რეგულიარული ჯარი ზოგიერთს ადგილზედ მცარცველების წინააღმდეგ წარმატებით მოქმედებს; მაგრამ სათუოა, რომ იმათ შეეძლოთ რამე გაარიგონ, ამისთვის რომ მცარცველების თაბუნები თან და თან მრავლდებიან და იმალებიან ხოლმე ტყეში და ქალაქებში.

ტელეგრამმები,

პეტერბურგში მიღებული.

ლონდონი, 3 აგვისტოს. რეიტერის საგენტო გვაცნობებს, რომ იმპერატორმა ნაპოლეონმა მიიწვია პრუსსიის ელჩი, გრაფი ბოლცი. იმან მიართვა იმპერატორს პრუსსიის მთავრობის პასუხი ფრანციის ნოტაზედ, რომელშიაც იყო გამოცხადებული სურვილი ფრანციის საზღვრების შეცვლაზედ. პრუსსიამ თავის პასუხში გამოაცხადა, რომ ფრანციის თხოვნის ასრულება შეუძლებელიაო. ნაპოლეონმა ამაზედ პრუსსიის ელჩს მიუგო, რომ მე მხოლოდ საზოგადოების თხოვნით გამოვაცხადეო წინათ მოხსენებული სურვილი, რომელიც თუმცა ჩემის ფიქრით სამართლიანი არისო, მაგრამ ბევრის მიზეზების გამო პრუსსიასაც სიმართლე აქვს, რომ ამაზედ არ დასთანხმდესო. იმან უთხრა ელჩს, რომ მეგობრული ურთიერთობა პრუსსიასა და ფრანციას შუა არას შემთხვევაში არ დაირღვევაო. ამასთანავე იმპერატორმა ნაპოლეონმა წარმოსთქვა თავისი იმედი, რომ პრუსსია მდინარეს მაინს აღარ გადასცილდებაო.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 5 (17) აგვისტოს. ᲓᲦეს გრაფმა ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲛᲐ შეიტანა პალატაში სჯულის პროეკტი, რომლის ძალითაც პრუსსიას შეუერთდებიან ᲚᲐᲜᲜᲝᲕᲔᲠᲘ, ᲚᲔᲡᲡᲜᲔ-ᲙᲐᲡᲡᲔᲚᲘ, ᲜᲐᲡᲡᲐᲣ და ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘ-ᲛᲐᲘᲜᲖᲔᲓ. ᲔᲚᲑᲘᲡ მიწებზედ პროეკტის შეტანას ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘ შეჰპირდა პალატას იმის შემდეგ, როცა ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ შერიგება გათავდება; სხვა მიწებზედ კი მაშინ შეიტანს პროეკტს, როცა სამხრეთის ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ შეურიგდება ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲐ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 5 (17) აგვისტოს. ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ სააგენტო გვაცნობებს, რომ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ კაროლმა ᲚᲔᲝᲠᲚᲓᲛᲐ II მიიღო იმპერატორის ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ დამამშვიდებელი წიგნი. ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘ სწერს ამ წიგნში კაროლს, რომ მე სრულებით აზრშიაც არა მაქვსო ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ ნაწილის შეერთება; ამას მე ის მირჩევნია, რომ ჩემი სახლი დამკვიდრდესო ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ტახტზედ.

ᲢᲠᲘᲔᲡᲢᲘ, 5 (17) აგვისტოს. ᲓᲦეს აქ მოვიდა ᲚᲔᲕᲐᲜᲢᲘᲡ ფოჩტა. სმირნიდამ იწერებიან, რომ ᲐᲚᲔᲞᲝᲛᲓᲘᲡ ომრმოც ვერსზედ საშინლად გავრცელებულია ხოლერა.

ᲐᲗᲘᲜᲘᲓᲐᲛ, 30 ივლისს (11 აგვისტოს) იწერებიან, რომ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ მთავრობა გჰგზავნის თავის დესპანს კონგრესში თუ როძ იმისი ყრილობა მოხდა ᲞᲐᲠᲘᲫᲨᲘ.

რადგანაც მღელვარება ᲙᲐᲜᲓᲘᲘᲡ კუნძულზედ თან-და-თ ნ ძლიერდება, ამისთვის ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲗᲘᲡ მთავრობამ სთხოვა კაროლს ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ, რომ ის ᲐᲗᲘᲜᲐᲨᲘ მობრუნდეს.

საბერძნეთის მთავრობამ განიზრახა, რომ შფარველს სახელმწიფოებს მისწეროს წიგნი აღმოსავლეთის საქმეზედ.

რადგანაც ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ მთავრობამ და ᲙᲐᲜᲓᲘᲘᲡ გუბერნატორმა უარი სთქვეს ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ელჩების შუამდგომლობაზედ, ამისთვის ᲙᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქრისტიანობის წარმომადგენლებმა შეადგინეს სანაციონალო (სახალხო) კრება [illegible] ხელში აიღეს თოფ-იარაღი. მღელვარება მთელს საბერძნეთში დიდათ გაძლიერებულია ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ წინააღმდეგ.

ᲙᲐᲠᲚᲡᲠᲣᲰᲔ, 6 (18) აგვისტოს. ᲑᲣᲨᲘᲜ ᲑᲐᲓᲔᲜᲡᲐ და ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲐᲡ შუა მშვიდობიანობა დამყარდა.

ᲓᲘᲓᲘᲡ საღერცოგოს ᲑᲐᲓᲔᲜᲘᲡ მთავრობამ ესესხა ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲘᲡგან 5 მილიონი ტალერი.

ᲕᲔᲜᲐ, 7 (19) აგვისტოს. ᲔᲠᲗᲘ ფრანცუზული გაზეთი გვაცნობებს შემდეგს ამბავს, თუმცა იმან კარგათ არ იცის ამ ამბის სინამდვილე:

„ᲞᲐᲞᲐᲡ და ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ კაროლს ᲕᲘᲥᲢᲝᲠ-ᲔᲛᲛᲐᲜᲣᲔᲚᲡ შუა მალე უნდა მოხდეს პირდა-პირი მოლაპარაკება. ᲞᲐᲞᲐᲛ კიდეც გამოუცხადა ამ საქმეზედ თავისი აზრი გრაფს ᲡᲐᲠᲢᲘᲥᲡ. ᲐᲛ მოკლეს ხანში ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ელჩს ᲠᲝᲛᲨᲘ მიელიან.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 (19) აგვისტოს. ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲔᲜ, რომ იმპერატორმა ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲛᲐ პრინცი ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘ მიიწვია უმთავრესს სახელმწიფო სამსახურზედ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 8 (20) აგვისტოს. ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲘᲡ დეპუტატთ-პალატის კამმისიის ყრილობამ, რომელსაც აქვს მინდობილი, რომ განიხილოს სჯულის პროეკტი ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ მიწების შეერთების შესახებ, გამოაცხადა რომ ეს მიწები უნდა სრულებით შეუერთდესო ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲐᲡ და არა შეუკავშირდესო.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიღებული.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 18 აგვისტოს. ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲝᲚᲔᲛᲘᲘᲓᲐᲛ გადიან; იმათი უმთავრესი ადგილ-სადგომი ᲞᲠᲐᲒᲘᲓᲐᲛ ᲢᲔᲞᲚᲘᲪᲡ გადიტანეს. 16 აგვისტოს ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ელოდნენ შერიგების ტრაქტატს, დამტკიცებულს ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡგან.—ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ დესპანი, ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲔᲜᲐᲑᲠᲔᲐ, რომელიც იყო დანიშნული ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ და ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲘᲡ შერიგებაში დასასწრებად, მოვიდა ᲕᲔᲜᲐᲡ.—15 აგვისტოს ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲓᲐᲛᲨᲘ მოხდა დიდი დემონსტრაცია აღმოსჩენილი რეფორმისათვის; ამ დემონსტრაციაში მოგროვდა 250 ათასი კაცი; იქ იყვნენ გაგზავნილნი დეპუტატები ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲛ და სხვა ქალაქებიდამ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 20 აგვისტოს. ᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲔ იმპერატორმა დილით 18 აგვისტოს ინება წაბძანება მოსკოვში, სადაც მივიდა სიმრთელით. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲦეს საღამოს გაზეთები, ზოგიერთის ცრუ ამბების წინააღმდეგ აცხადებენ: ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ მმართებლობამ ურჩია ნეიტრალურს სახელმწიფოებს, რომ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛ მიღოს მონაწილეობა სატერრიტორიო დაპოლიტიკურის საქმეების განხილვაში, სადაცსა ხელმწიფოები შეეკვრიან ხოლმე ერთი ერთმანეთს ტრაქტატებით. ᲔᲡ აზრი სხვა სახელმწიფოებმა არ მიიღეს და რადგანაც ამით დროებით დაარღვიეს ერთი ერთმანეთის ქომაგობა თვით იმ ხელმწიფეებმა, რომლების თანახმობაც იყო ყოველთვის ამ გვარ ქომაგობის საფუძველი, ამისთვის იმპერატორის მმართებლობამ დაინახა საჭიროდ სხვა წინადადებანიც აღარ წარუდგინოს; ხოლო რუსეთის ხმას და იმის სიმართლეს, როგორც დიდის სახელმწიფოისას, ამით არა დაჰკლებია რა. ᲘᲡ თავისუფალია თავის მოქმედებაში. ᲘᲛᲘᲡ ხელმძღვანელად იქმნება მხოლოდ რუსეთის ინტერესი.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ.

ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲓᲝᲣᲜᲘᲡ სიტყვა, თქმული ხალხთან ᲜᲘᲣ-ᲯᲔᲠᲨᲘᲡ შტატში 1838 წელს.

ᲫᲛᲐᲜᲝ-მოქალაქენო! ჩვენმა წარმომადგინელების კრებამ მოგვანყო ჩვენ, რომ წარმოვსთქვათ იმისი აზრი სახალხო შკოლებზედ. ᲦᲠᲛᲐᲗᲐ ვგრძნობთ, რომ ჩვენა გვაქვს მონდობილი მეტად ძნელი და დიდი საქმე. მტკიცეთა ვართ დაჯერებულნი, რომ თქვენც დაგვეხმარებით ამ საქმეში. ᲗᲥᲕᲔᲜᲖᲔᲓᲐ გვაქვს ჩვენ დიდი ნდობა და რწმუნება, როგორც თავისუფალს—თავისუფალზედ.

ჩვენ გვსურს, რომ თქვენ კარგათ გასაჯოთ და ჩაინერგოთ გულში ის ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ, რომლებსაც თქვენ წარმოგიდგენთ თვალ-წინ. ᲐᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲔᲑᲘᲡ რიცხვი მცირეა და ამასთან გასაგონი და ადვილათ ასასრულებელია. ᲐᲛ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲔᲑᲘᲡ აქვთ კავშირი მრავალ სხვა აზრებთან, რომლებიც ყველას მიუღია. ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, თუ ვინმე ამ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲔᲑᲘᲡ უარს-ᲰᲧᲝᲤᲡ, ის უარს-ᲰᲧᲝᲤᲡ თვითონ იმ აზრებსაც, რომლებიც ყველას მიუღია. ჩვენ ვამბობთ, რომ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ. ᲐᲛᲘᲡ დამტკიცებაების მოყვანა ჩვენგან საჭიროდ არ არის. ᲧᲝᲕᲔᲚᲡ სულს აქვს სწავლის ნიჭი, ყველას აქვს იმისი სურვილი, ყველას აღამაღლებს და გაამშვენიერებს სწავლა. ᲔᲡ აზრი ყველა კაცს ᲦᲕᲗᲘᲡაგან გონებაში ჩანერგული აქვს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თვითოეულს კაცს აქვს სწავლის მოვალეობა. ᲕᲘᲜᲪ ამ მოვალეობას არ აღასრულებს, ის ეწინააღმდეგება ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲡ, რადგანაც ის მოიძულებს ᲦᲕᲗᲘᲡაგან მიცემულს ნიჭს, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡ და თავისუფლებას, დამდაბლდება და უგუნური შეიქნება. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ და გამოცდილება გვიმტკიცებენ ამ ჩვენს აზრს. ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ვხედამთ ჩვენ, რომ უმეცრებას და გაუნათლებლობას დიდი კავშირი და დამოკიდებულება აქვს ბიწიერებასთან და მონაობასთან. მე ვამტკიცებ, რომ სწავლა უნდა შეიქნეს თვითოეულის პირის კუთვნილება. მე ვამტკიცებ, რომ განათლება უნდა გავრცელდეს და მოიფინოს ხალხში. ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲕᲘᲜᲪ წინააღმდეგია ამ აზრისა, ვისაც სურს, რომ ხალხი უსწავლელი და გაუნათლებელი იყოს, ის მმართებლობას ძირს უთხრის, საზოგადოების ძალას ასუსტებს და სურს დაამკვიდროს იმ გვარი დაწყობილება, რომელიც დაბადებს უწესოებას (ანარხიას) და სახელმწიფოს ბოლოს მოუღებს.

ᲕᲘᲡაც მტკიცედ სწამს და სჯერა ამ აზრების ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ, იმას აგრეთვე ღრმად უნდა ჰქონდეს ჩასახული გულში ამ აზრების სისრულეში მოყვანა. ᲗᲕითᲥვეᲧᲜის დაბადებიდგან ჯერ არა ყოფილა იმისთანა ხალხი, რომლისთვისაც ამ აზრების აღსრულება ისე დიდათ საჭირო და ფრიად ნაყოფიერი ყოფილიყოს, როგორათაც ჩვენთვის. ჩვენის კონსტიტუციის ძალით აქ ხალხია მფლობელი და ის უნდა მფლობელობდეს მართლა, საქმით. ᲜᲣ თუ უმეცრება კარგის მმართებლობის ნიშნად უნდა იყოს? ᲜᲣ თუ სჯულისმდებელად თქვენ ამოირჩევთ იმისთანა კაცს, რომელმაც კითხვა არ იცის? ᲜᲣ თუ თქვენ მოიწონებთ იმისთანა სჯულის აღმასრულებელს კაცს, რომელმაც წერა არ იცის? ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ამასთან იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ მოიპოვებენ იმოდენა უფლებას და ვერ მოიქმედებენ იმდენს ბოროტებას, რამოდენიც შეუძლიან გაუნათლებელს ხალხს, რომელსაც უპყრია ხელში ძალა. ᲘᲡ შეიქნება მიზეზი ყოველის ბოროტ-მოქმედებისა. ᲫᲛᲐᲜᲝ მოქალაქენო! ჩვენ რესპუბლიკელები ვართ. ჩვენი ქვეყანა-ჩვენი საყოველთაო საკუთრებაა. ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ. ჩვენი ქვეყნის სჯული ჩვენ ყველას გვფარამს და გვიცავს. ᲛᲘᲡᲘ კეთილ-დღეობა ჩვენს საერთო სარგებლობას შეადგენს. ᲛᲘᲡᲘ დიდება ჩვენი საყოველთაო ამპარტავნებაა. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ჩვენი საერთო სარგებლობა მოითხოვს ჩვენგან საერთო მოვალეობასაც. ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲜᲘ უფლებანი მოითხოვენ ერთგვარსავე თანამდებობაებს. ჩვენ ყველანი ესარგებლობთ იმ კონსტიტუციით, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი სრული თავისუფლება. ᲔᲡ იმ გვარი სამღრთო მადლი და კეთილია, რომელიც ჩვენ არას დროს არ უნდა დავსთმოთ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ უნდა დაიცვას ეს თავის სარგებლობისთვის, შთამომავლობისთვის და მთელის ქვეყნის სასარგებლოდ. ᲕᲘᲡაც ამ კონსტიტუციის წაკითხვა არ შეუძლიან, ვისაც არ ეყურება იმისი დაწესებანი, ვისაც არ შეუძლიან დაიცვას და ახსნას იმისი უმთავრესი აზრები, ის არ არის ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ მოქალაქე. ᲘᲡ არასფრით არ იქნება უკეთესი იმ კაცზედ, რომელსაც არა სურს თავისი სიცოცხლე შესწიროს ამ კონსტიტუციას.

ᲢᲧᲣᲘᲚᲐᲓ ამტკიცებენ, რომ აღზრდა არის კერძოობითი საქმე და ყველას არ შეეხება. ᲓᲘᲓᲐᲗ სცდებიან ისინი, ვინც ამბობენ, რომ შვილების აღზრდა მარტო დედ-მამის ვალია. ᲔᲡ მართალია თეორიით. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ საქმით კი სრულებით ასე არ არის. ᲐᲠᲘᲐᲜ მრავალნი იმისთანანი, რომლებსაც არ შეუძლიანთ შვილების აღზრდა. ᲐᲠᲘᲐᲜ უფრო უმრავლესნი იმისთანებიც, რომლებსაც არა სურთ, რომ თავის შვილებს ჯეროვანი განათლება მისცენ. ᲜᲣ თუ სახელმწიფოს ენება უნდა მიეცეს ზოგიერთის პირების დაუდევნელობის, უზრუნველობის და უმეცრების გამო? ᲠᲝᲪᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ, რომელსაც არსად ჯეროვანი სწავლა და აღზრდა არ მიუღია დააშავებს რასმეს სახელმწიფოს წინააღმდეგ, სჯული მშობელსა და შვილს შუა ჩადგება და დასჯის დამნაშავეს. ᲜᲣ თუ მარტო გვმართებს დასაჯოთ დანაშაულობა? ᲗᲐᲜᲐ არ შეიძლება მოვიხმაროთ იმ გვარნი გამაფრთხილებელნი ღონისძიებანი, რომ ყველამ თავიდგან გადვიცილოთ დანაშაულობა და ბოროტ-მოქმედებას თავი დავხსნათ? ᲜᲣ თუ სახელმწიფო მარტო შემპყრობი და დამსჯელია? ᲜᲣ თუ იმან მარტო მართლმსაჯულებას უნდა მისდიოს და უარჰყოს ყოველი მშვიდობიანური და სიყვარულის დამამყარებელი ღონისძიებანი?. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ მოგვითხრობს, რომ ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘᲡ სჯული კაცის სისხლით იყო დაწერილიო. ᲔᲡ იმას ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, რომ იმისი დაწერილი სჯული იყო საშინლად სასტიკი. ᲧᲕᲔᲚᲐ მცირე დანაშაულობაზედ იმისი სჯული სიკვდილს უწერს. ᲔᲡᲔᲕᲔ შეიძლება ვსთქვათ ახლანდელს სახელმწიფოების სჯულებზედ. ᲘᲡᲘᲜᲘ ალმასრულებენ სასასირცხო ბოძებს, ეშაფოტებს, ტანჯვებს და ყმაწვილების აღზრდას კი არას დასდევენ. ᲐᲛ საქმის წარმართვა დამოკიდებულია კერძო პირების მომჭირნეობაზედ და მოწყალებაზედ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐ სთქვა უკანასკნელის კრების თავს-მჯდომარემ სახალხო შკოლების შესახებ, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა თვითოეულს ყმაწვილში. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ შეიძლება ვსთქვათ, რომ კეთილ-დღეობა და სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია თვითოეულის ყმაწვილის გონების გახსნაზედ.

ᲗᲥᲕᲔᲜ ყველანი დამეთანახმებით, რომ ხალხის აღზრდა საჭიროა იმისთვის, რომ მტკიცედ დაემყაროს ჩვენი თავისუფლება. ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ჯეროვანი აღზრდა ყოველი თავისუფალის შტატის ვალია. ჩემი პირველი და უკანასკნელი სიტყვა ეს არის: თქვენი მოვალეობა და უდიდესი სარგებლობა მოითხოვს, რომ მისცეთ თვითოეულს ყმაწვილს განათლება. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ერთი განათლება შეაძლებინებს იმათ აღასრულონ ყოველივე მოვალეობა რესპუბლიკის მოქალაქისა.

ᲘᲡ აზრ , ვითომც ღარიბს არ უნდა მიეცეს ისეთი სწავლა, როგორიც მდიდარს ეძლევა, არ შეჰფერის არამთუ თავისუფალს მოქალაქეს, არამედ საზოგადოთ თვითოეულს კაცს. ᲖᲐᲜᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ მისცა ღარიბს უფრო უნაყოფო მიწა, უფრო ცუდი ჰაერი და უფრო ფერმკრთალი ცა? ᲖᲐᲜᲐ ეს დიდ-მშვენიერი მზე არ დანათებს გლეხი-კაცის ქოხს ისე ალერსიანათ, როგორც მდიდარის სასახლეს? ᲖᲐᲜᲐ ფეიქრის შვილები უფრო ნაკლებათ გრძნობენ ბუნების სიმშვენიერეს, იმის ბრძნულს მოწყობილებას, მინამ ფერ-მიხდილი კაროლინის შვილები? ᲖᲐᲜᲐ იმათ არა აქვთ წრფელი და უმანკო გული, რომ მხურვალეთ და დაუსრულებლათ შეიყვარონ ბუნება? ᲐᲜ იქნება ფიქრობდნენ, რომ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ღარიბი კაცის სულს ისენაირათ დაბადა, რომ იმას ყოველთვის ეტყობოდეს დაბალი კაცის შვილობა და შთაუდგეა იმათ შვილებს აზრი, რომ ისინი ყველანი ფეხ-ქვეშ გაექელვინონ? ᲐᲠᲐ. ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ეს ასი არ დაუწესებია. ᲧᲕᲔᲚᲐ კაცის სული ერთია. ᲐᲛᲐᲨᲘ დაბალი და მაღალი არ შეიძლება. ᲘᲡ ითხოვს თავისუფლებას და ნათელს. ᲘᲛᲐᲡ სისუტე ვერ მოაუძლურებს, სილარიბე ვერ დასთგრუნავს. ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ მხოლოდ განაღვიძებს იმის ძალასა. ᲛᲔᲬᲕᲠᲘᲛᲐᲚᲘᲡ შვილი, რომელიც მთელი ღამე ნათხოვარს წიგნში თვალებს იწყალებს, შეიქმნება მეფეთ-სწორი, გამოიგონებს რასმე მეცნიერებაში და ციდგან ელვას კანაფის თოკით უვნებლათ ჩამოიტანს დედა-მიწაზედ (აქ ᲤᲠᲐᲜᲚᲘᲜᲘ (*) იგულისხმება). ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲐ დაწესებულია მთელი ხალხისთვის და არა მარტო ღარიბებისთვის და დაბალი ხალხისთვის. ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ იმისთვის ეწოდება, რომ ეკუთვნის მთელს ხალხს და ისე საჭიროა და მიუცილებელია იმისთვის, როგორათაც ჰაერი, როგორათაც სინათლე. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲐ უნდა უთუოდ იყოს საუკეთესო სასწავლებლათ. ᲕᲘᲜ არ იცის, თუ რა გვარათ ძვირფასია კაცისთვის წმინდა წყალი? ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲨᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ სწავლა უფრო უსაჭიროესია და უფრო უძვირფასესია: ის მოუკლავს კაცს სულის წყურვილს, განაცოცხლებს იმას და განამხნევებს ყველა დიდს და სასარგებლო საქმეში.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ! ᲙᲐᲪᲛᲐ უნდა იშრომოს, რომ მოიპოვოს ის, რასაც იმისთვის ფასი აქვს. ᲧᲝᲕᲔᲚᲡ საქმეში ეს სიტყვები

(*) ᲤᲠᲐᲜᲚᲘᲜᲘ იყო ამერიკელი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდვა თავის ქვეყანას, როდესაც შეერთებული ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ იბრძოდნენ თავის თავისუფლებისთვის. ᲐᲛᲘᲡთანავე ის იყო დიდი ფიზიკოსი: იმან გამოიგონა ᲛᲮᲔ-გადასაცდენი და ელკტროს ფრანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეთ და ეცადეთ, რომ აღასრულოთ. თქვენ ჰხნავთ მიწას, თქვენ ქსოვთ ან არ-თავთ. ყველა, რასაც ფასი აძევს, მოიპოვება ლიდის შრომით; აგრეთვე შრომით მოიპოვება თავისუფლება. ვილიამი პენი ამტკიცებს, რომ კარგი კონსტიტუცია (სახელმწიფოს დაწ-ომბილება სადაც ერთი კაცს უფლება გარეშესა-ღერულია ხალხის ნებით) მხოლოდ იმისთა-ნ ხალხს ექნება, რომელიც გონიერია და ეთილის-მყოფი და რადგანაც ეს გონიერება და კეთილ-მყოფობა კაცს დაბადებიდამვე არ ჰყვება, ამისთვის უნდა ვეცადნეთ განათ-ლება გავავრცელოთ მთელს ხალხში და ყმა-ვილები კარგათ ავზარდოთ!! ამისთვის, მე ალათა ვდებ ყველას, რომ იზრუნოს მთე-ლ ხალხის განათლებაზედ. ნუ მკითხავთ, ადამ უნდა ვიშოვოთ ღონის-ძიება ამ საჭი-როების დასაკმაყოფილებლათ? თქვენს სახლს რომ ავაზაკები დაესხნენ, განაღა იკითხავთ თუ რა ეღირება თქვენი სახლის და-ცვა და თქვენი თავის დაფარვა ავაზაკის ხე-ლისგან? ვთქვათ, რომ ხვალ ჩვენს ქვეყანას შემოესივა მტრის ჯარი, როგორ მო-იქცევით ამ შემთხვევაში: ჯერ იანგარიშებთ რამდენი ხარჯი და ზარალი მოგეცემათ ამ ომში და ამ გრძელის ფიქრის მერე გაელაშ-ქრებით მტერზედ, თუ პირდაპირ შეეტაკე-ბით იმას და მსწრაფლად განდევნით თქვე-ნს ქვეყნიდამ? სახალხო სასწავლებლები ჩვენთვის ფლოტის, თოფ-იარაღის და ჯარის მსგავსი ერონი არიან. თუ გვინდა, რომ თავ-დაცულნი ვიყვნეთ და მტერმა არ შეარყიოს ჩვენი სიმტკიცე, დავაწესოთ სახალხო შკო-ლები. მხოლოდ ესენი დაგვიხსნიან ჩვენ ყოველის განსაცდელისაგან.

მოქალაქენო! თქვენ უნდა გადაწყვიტოთ თქვენი მომავალი სვე. ჩვენ აქამომდე, ჩვენ-და სასირცხვილოთ, არა დავდიეთ რა ჩვენს ნიჭს და ჩყვენს ძალას. ჩვენ ვერ დავაფასეთ ჩვენნი სიმართლენი, ვერ აღვასრულეთ ჩვენი ვალდებულებანი. ჩვენ დამოუკიდებულებას დამოკიდებული ცხოვრება ვირჩიეთ, ძაშინ როდესაც ჩვენ შეგველო, რომ თავისუფალ-ნი ვყოფილვიყავით. მადლობა ღმერთს, ახლა მოისმის ხმა საყვირთა, რომელიც აღელვებს ველს, გმირულს სისხლს. ჩვენში აღიგძნები-ან იმ ცეცხლის ნაპერწკლები, რომელიც ჩვენს გულში ჩაჰქრა და რომელიც განაცხოველებ-და ჩვენს მამებს. ჩვენს გულში ჩაისახა ახლა წადილი განათლებისა, რომელმაც ჩვენ გაგ-ვაცოცხლა. ყური მიუპყრათ ამ წმინდა, ღვთა-ებრივს ჩვენს გულისთქმას და ლტოლვას. შეუდგეთ საქმეს და მით მოვიპოვოთ დიდება. აღზდეგინ! სჯულის დაწესებაც თქვენს ხელ-შია და იმისი აღსრულებაც. ცდა და ღონის-ძიება თქვენია. საქმეც თქვენივე. შეუდექით სახალხო სასწავლებლების დაწესებას. დააყე-ნეთ ეს შკოლები იმ გზაზედ და ის წესი მიეცით, რომ სწავლა, და განათლება კარგა წარიმართოს.

ერთგულათ და კაცურად იმოქმედეთ. ესე, მოჰკიდეთ საქმეს ხელი. საქმე დიდია. ცდა და გარჯა დიდი გვმართებს. ხალხის აღზრდის წესი ფრიად ძნელი და დიდი საქმეა. თუ გინ-დათ, რომ კარგი წესი შეიტანოთ შკოლებ-ში, მიეცით თავისუფლება ამ წესის შემად-გინებლებს და დაარწმუნეთ იმათზედ გული. უმისოთ ისინი თავის საქმეს კარგათ ვერ აღასრულებენ. თუ საშკოლო ფონდი საკმაო არ არის ეს უკეთესი. ყველამ შესწი-რეთ ფული სახალხო შკოლების სასარგებ-ლოთ. თქვენი ნებით ხარჯი შეაწერეთ თქვენს თავს, თუ რომ არ გინდათ, რომ სხვებმა, უცხო-ქვეყნელებმა, ხარჯი შეგაწეროონ. თქვენ მაშინ თავიდგან მოიცილებთ პაუპე-რიზმს და სხვა ათასს სენს და დანაშაუ-ლობას. აგრეთვე იზრუნეთ იმაზედ, რომ სასწავლებელი გაიმართოს კარგს, ფაქიზს და მოხერხებულს სახლებში. იზრუნეთ, რომ შკოლებში მასწავლებლებათ ნასწავლი და და-ხელოვნებული კაცები იყვნენ, რომ იმათ შეეძლოთ სწავლება, ამასთან კარგი ზნეობა ჰქონდეთ და უყვარდეთ თავისი სამშობლო ქვეყანა. მიეცით იმათ კარგი სადგომი და კარგათ შეინახეთ. პატივი ეცით იმათ და ისინიც პატივსა-სცემენ თავის თავს და ჩვენი შვილები კიდევ იმათა სცემენ პატივს. იზრუ-ნეთ აგრეთვე მოწაფეებზედ. ბიყვარდეთ ისინი, გახსოვდეთ, რომ თქვენ იმათ შორის დაჰბერდებით, გახსოვდეთ და ნუ დაივიწ-ყებთ, რომ, როცა თქვენ მოჰკვდებით, მა-შინ თქვენს სამშობლო ქვეყანას დასტოვებთ იმათს ხელში.

„ძარგი სახალხო სასწავლებლები“ სთქვა მასსაჩუზეტის გუბერნატორმა ევერეტმა „შე-ადგენენ თვითოეულის ხალხის განათლების საფუძველს“. ეს სრულებით მართალია; და ესრეთ დავსდვათ გონიერი და მკვიდრი სა-ფუძველი განათლებისა, ისეთი საფუძველი, რომელიც სასარგებლოა ჩვენთვის და ჩვენის შვილის-შვილებისთვის. ჩვენ პატარა შტატის მოქალაქენი ვართ. ჩვენ არ შეგვიძლიან მთე-ლის კავშირის მართვა. ჩვენ ისე ძლიერნი არა ვართ, რომ სხვაზედ ვიმფლობელოთ. მაგრამ ჩვენ მხედველობაში სხვა მიზანი უნ-და გვქონდეს. არის საქმე უმეტეს კეთილშო-ბილური, რომლის აღსრულებაც დამოკიდებუ-ლი არ არის არც რიცხვზედ და არც ფიზი-კურს ძალაზედ. ჩვენ შეგვიძლიან გონების გახსნით და განათლებით მოვიპოვოთ მთელს ხალხზედ გავლენა. ათინელები ბევრნი არ იყვნენ. იმათი მხარე პატარა იყო. არც მიწა იყო სხვებზედ მომატებულად ნაყოფიერი; მაგრამ, შეხედეთ, რა გვარის გმირულის მამა-ცობით გაუმაგრდნენ ისინი აღმოსავლეთის დიდს ჯარებს. იმათი სწავლა და ხელოვნება აქამომდე აკვირვებენ განათლებულს ხალხებს. დავადგეთ ამ გზას. ბანათლება იყოს ჩვენი უპირველესი წადილი და განზრახვა. შეესწი-როთ ამას თავი და ჩვენის შტატის დიდს აღზრ-დის საქმეს. ვისარგებლოთ იმ უპირატესობით, რომელიც ჩვენს მხარესა აქვს სხვა შტატებ-ზედ მომეტებულად. შეუდგეთ სწავლას, შე-მოვიტანოთ შკოლებში ახალი უკეთესი წეს-დებულებანი. დაე, ჩვენს გარეშემოც, სხვა შტატებშიაც მოიფინოს ამ გვარი წესდებანი. დაეხსენ, სხვა შტატებს პირველობა ჰქონდეთ ვაჭრობაში, მეურნეობაში და სხვა ხელოვ-ნობაში. ჩვენის შტატის დევიზად გო-ნიერება იყოს და ეის ნაყოფად: ცოდნა, კე-თილ-მოქმედობა და მამულის სიყვარული. ჩვენი განზრახვა ის არის, რომ ვიყოთ სა-ხალხო სასწავლებლების, აკადემიების და კოლ-ლეღიების შტატად, განათლების შტატად. ჩვენი შტატი უნდა გახდეს აკვანი თავისუ-ფალის ერისა.

ახალ-გაზდა დედებს და ყმაწვილს ქალებს.

ხშირად მოგვდის ხოლმე ლაპარაკი ჩვენს გამოუდეგრობაზედ. ვამბობთ, რომ არც კა-ცები ვარგივართ, არც ქალები და არც ახალ-გაზდობა: იმისთანანი არავართ, როგორსაც მოითხოვს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მდგომარეო-ბა და ჩვენი დრო. ყველანი ეგრძნობთ ამის-თანა უვარგობას; ამას ზოგნი პირდაპირ ვაცხადებთ და ზოგნი გულში ვამტკიცებთ; მაგრამ თვით ის ბასრი კი არც ერთს არ მო-გვიძებნია და არ გვიჩვენებია, რომლითაც შეგვძლებოდა ამოგვეკვეთნა ჩვენი ნაკლუ-ლევანება და ამით შეგვემცირებინა ჩვენი გა-კიცხვა... რა არის ამისთანა ბასრი და წამალი საზოგადოების გაუმჯობესობისა?... მაგრამ პა-სუხის მაგივრად ჯერ კიდევ ეს ვიკითხოთ: რა არის უმთავრესი მიზეზი ჩვენის გამოუდეგ-რობისა და უხეირობისა?

ახლანდელი მეცნიერები ამბობენ: „ძაკი არის ქმნილება თავის გარემოებისაო“. ყოველი ახალგაზდა დედა თავს დაჰხარის თა-ვის პირმშო შვილს; იმის დედური გული და შვილზედ თავგანწირული სიყვარული ხში-რად ულაღადებს თავის ახალ-მოტიკტიკე ყმა-წვილს: „შვილო შენ უნდა იყო წარჩინებუ-ლი შენს ტოლსა და ამხანაგში; შენ უნდა გამოხვიდე შეუდარებელი კაცი კაცთა შორის; შენ უნდა დააგვირგვინო შენი მშობელი შე-ნის სახელით“. ყოველი დედა ამ გვარად უქ-ადაგებს თავის შვილებს; მაგრამ ამ შემთ-ხვევაში არც ერთი დედა კი თავის თავს არ ჰკითხავს, თუ რა გააკეთებს და რა გახდის იმის შვილს პირველ კაცად კაცთა შორის. ყმაწვილს ზეციდამ არ გადმოეღვრინება განუ-დრეკელი ხასიათი, გაუკიცხველი ზნე, მაღა-ლი ჭკუა და მაგარი სხეული, რომელნიც გა-ხდიან იმას საუკეთესო კაცად. ყველა ეს თვი-სება ყმაწვილს უნდა ჩაენერგოს მშობლიდ-გან და იმ მაგალითებით, რომლითაც ყმაწ-ვილია გარემოცული შინა-ცხოვრებაში. მა-გრამ საუბედუროდ ჩვენებურს დედებს და მშობლებს შინა-აღზრდისა არა გაეგებათრა და არც ესმით ყმაწვილის ხასიათი და იმის აგებულება.

ყოველი ახალ-გაზდა ჩვენში სრულებით თავმინებებულია და იზრდება უყურადღე-ბოთ. ჩვენის უმეცრებისგამო ისინი მრავალს ცუდს მაგალითს ხედვენ ჩვენს ცხოვრებაში, შეითვისებენ ყოველს უმზგავსო ნაკლულე-ვანებას და შემდეგ ამ ცუდს დასაწყისზედ განიგრძობა იმისი ზნეობითი დასრულება. მაშ ჩვენი უვარგობის მიზეზი არის ჩვენი შინაური და გარეგანი აღზრდა. სიყმაწვილე-ში არ გვეძლევა არა ვითარი გონიერი მაგა-ლითი და ამისგამო სივაჟკაცეშიაც ფუჭად ვატარებთ ჩვენს ცხოვრებას....

ჩვენში ყმაწვილი ქალები, რომელნიც დედობას ემზადებიან და თვით ახალ-გაზდა დედები განიყოფებიან ორ გვარათ: ერთნი არიან მდიდარნი. ამისგამო იმათ შეუძლი-ანთ გაიზარდონ სასწავლებლებში და მიაქცი-ონ ყურადღება პედაგოგიას (*), რომლის სწავლაც იმათთვის ცხოვრებაში მიუცილებე-ლად საჭიროა. იმათ შეუძლიანთ სასწავლე-ბელში ისწავლონ, თუ რა რიგათ უნდა გაზრ-და ყმაწვილს, ან რა თვისების არის ყმაწვი-ლის ნორჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოპყრობა ყმაწვილს, ან რა გარემოებაში უნ-და ჩასდგეს ყმაწვილი, რომ იმას შეეთვისოს მაღალი ზნე და მაგარი აგებულება, რომ შემ-დეგ გახდეს ყოვლის ფრით სასარგებლო კა-ცი თავის ქვეყნისთვის. შეძლებულს და ინ-სტიტუტებში ნასწავლს დედებს შეუძლიანთ მოიპოვონ საპედაგოგიო წიგნები, შეუძლიანთ გამოიწეროონ ჟურნალები, რომელიც შეეხება ყმაწვილის გონიერულს აღზრდას. ამით ისი-ნი შეივსებდნენ თავიანთ სწავლას, რომელიც დაჰკლებიათ ინსტიტუტებში და რომელიც მიუცილებელი საჭიროება იყო იმათთვის, რა-დგან ამ გვარის სწავლით, ისინი დააყენებენ კაცურს გზაზედ თავიანთს შვილებს. საუბე-დუროდ ამის მაგივრად ყოველი ჩვენებური დედა, რომელსაც თუ ცოტა რამე შეძლება აქვს, მაშინვე იმას ცდილობს, რომ როგორ-მე თავიდამ მოიცილოს თავისი შვილი, მია-ბაროს ძიძას და თვითონ კი თავისუფლად ისე-ირნოს. ამისგამო პირველ-დაბადებითი აღ-ზრდა იმ ყმაწვილებისა, რომელთაც შეეძლოთ გონიერად აღზრდილიყვნენ, ჩავარდნილია ყოვლად უგუნურს ძიძების ხელში. უნდა განვიხილოთ ძიძის სახლობა და თვით სოფ-ლური ტალახი, რომელიც შეეთვისება ყმაწ-ვილს ცხოვრებაში და მაშინ დავრწმუნდე-ბით, თუ რა უნდა გამოვიდეს ამისთანა ყმა-წვილისგან. შენ თვითონ იცი, მკითხველო, ჩვენებურს ძიძებში რამდენი გონიერება და კარგი თვისება იპოება, რამდენს სამაგალითო ჩვეულებაებს შთანერგავენ ისინი თოთო ყმა-წვილის სხეულში...

აქედამ სჩანს, რომ შეძლებულის დედების შვილებიც იმ გვარად იზდებიან და არიან სრულებით უყურადღებოდ, როგორც ღარიბ-ლის ხალხის ახალ-გაზდობა.

მეორე გვარის დედები არიან ღარიბ-ნი, რომელთაც არშესძლებიათ განათლების მიღება. ისინი მხოლოდ შინ არიან გაზდილ-ნი. ქართული წერა-კითხვა უსწავლიათ და ამით დაგვირგვინებულა იმათი გონების განათლება. რასაკვირველია ამ გვარი დედები უფრო ხში-რად თვითონვე ზრდიან თავ-თავიანთ შვი-ლებს, იმათ იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ შვილის აღზრდისგან თავი იხსნან; მაგრამ აქ-დამაც არა გამოდის რა. ყმაწვილნი აქაც, როგორც ძიძის და გამდლების ხელში, არია-ან გარემოცულნი უმეცრებითა, ცუდის მაგა-ლითებითა, რჩებიან უყურადღებოთ და ამის გამო ცხოვრებაშიაც შეიქმნებიან ქარა-ფშუ-ტებად. ამ გვარად გაზდილს ყმაწვილს შკოლის სწავლაც ბევრს სარგებლობას ვერ მისცემს. დაბადებიდგან შეყოლილი ნაკლულევანება შკოლის შემდეგაც გაჰყვებათ და შერჩებათ მთ-ელს ცხოვრებაში. ძალიან იშვიათად მოხდე-ბა, რომ შკოლამ გაასწოროს ყმაწვილის ცუ-დი ზნე, იმიტომ რომ ათას ყმაწვილში ჯერ-როვანი ყურის გდება შეუძლებელია მასწავ-ლებლებისთვის.

მაშასადამე შეძლებულნიც და შეუძლებე-ლნიც ყველანი ერთ რიგად ზრდიან თავიანთ შვილებს. მთელი ჩვენი ახალთაობა გადის უმეცრების აკვანში. იქ შეითვისებს მრავალს გვარს ნაკლულევანებას და ცხოვრებაშიაც ვართ ზოგნი ზნეობით დამახინჯებულნი და ზოგნი სხეულით.

მინამ შინაურს აღზრდას ცოტა მაინც გო-ნიერი საფუძველი არ მიეცემა, ჩვენს გამჯო-ბინებასაც არა გაეწყობა რა და ყოველთვის უვარგნი დავრჩებით.

ამისთვის ჩვენმივაქცევეთ ახალ-გაზდა-დედე-ბის ყურადღებას და ყმაწვილ-ქალების გო-ნ[illegible] [illegible]. თუ რომ იმათი დედური გული ისურვებს ყოველს კარგს თავიანთს შვი-ლებისთვის, უეჭველია ამასთან ესეც უდნა იცოდნენ, რომ ყოველი კეთილი ზნე იმათს შვილებს უსათუოდ შეეთვისება იმათგ ნ. ბო-ნიერი საფუძველი ყმაწვილის აღზრდაში და-იდება დედისაგან. ამის გამო არაოდეს გო-ნიერი დედა ერთი, რომ თავის შვილს ცუდს სახლობას არ [illegible]ზდევინებს და მეორე, რომ ის ყოველთვის ეცდება მოიპოვოს შვილის აღ-ზრდაში დიდი გამოცდილება და ცოდნა.

ამ შემთხვევაში რაც შესაძლებელია ჩვენც ვეცდებით ჩვენს გაზეთში დავსტიოთ ხოლმე ზოგიერთი ცნობა შინაურს შვილის აღზრ-დაზედ. ამ გვარი ცნობა მიუცილებელი სა-ჭიროა განსაკუთრებით იმ დედებისთვის, რო-მელთაც რუსულს სასწავლებელში არ უსწავ-ლიათ; ხოლო რომელნიც ნასწავლნი არიან, იმ დედებს კი ეურჩევთ წაიკითხონ პედაგოგიური წიგნები; აგრეთვე სასიამოვნო იქნება, რომ იმათ მოიპოვონ ერთი პედაგო-გიური ჟურნალი, რომელსაც სახელად ჰქვიან „საყმაწვილო ბაღი“ „Дѣтскій Садъ“ და რომელიც გამოიცა პეტერბურგს წლევანდელს წელს აპრილის თვიდამ.

ამ ჟამად გამოვესწერთ ამ ჟურნალიდამ ერთს სტატიას და იმედი გვაქვს ის უნაყო-ფოდ არ ჩაივლის მკითხველებისთვის.

აღზრდაში შეცდომილება.

მე შემემთხვა აღზრდა ერთის ყმაწვილისა, რომელსაც შინ ძლიერ აუზნეევებდნენ და არ მიაჩვევდნენ გაგონებას. იმისი გაუგო-ნელობა უფრო მიძნელებდა საქმეს; ამ გვარს ყმაწვილებს სასტიკად არ დავსჯი ხოლმე, იმისთვის რომ, ვიცი აქედამ არა გამოვარა; მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემს სიტყვებს არავი-თარი ზედმოქმედება არ ჰქონდა ყმაწვილზედ. როცა შევნიშნავდი იმის ცუდს-ყოფაქცევას, ის მაშინვე დამიწყებდა წინააღმდეგს ლაპა-რაკს; მე ეუმტკიცებდი ამ გვარის ყოფაქცე-ვის სიცუდეს, მაგრამ ის მაინც თავისას შერე-ბოდა; ვარიგებდი, ეუჯავრდებოდი, მაგრამ

(*) პედაგოგია ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ.

ის მაინც არას მიგონებდა. მე დავრწმუნდი, რომ ამ გვარის მოპყრობით ყმაწვილი ვერ გასწორდება; ის თავს იქცევს ჩემთან ლაპარაკში და ჩემსა და იმის შუა ბაასი ყოველთვის ისე გათავდება, რომ იმას თავისი თავი ყოველთვის მართალი ჰგონია. მე ვხედავდი, რომ იმას უხარიან ჩემი სიცხარე, ჩემი გაჯავრებისა არ ეშინიან და ყოველთვის თავისაზედ დგას; ის გრძნობს ჩემს უღონობას და კარგათაც იცის, რომ მე დამსძლევს ხოლმე ამ შემთხვევაში.

მე სულ სხვა რიგათ დავუწყე ყმაწვილს მოპყრობა და ჩემდა სასიხარულოდ ამ გვარს მოპყრობას კარგი შედეგი ჰქონდა. უსარგებლო არ იქნება რომ ვაცნობო ეს ჩემი ყოფა-ქცევა გამზრდელებს, რადგანაც ბევრი იმათგანი გამოსცდის ხოლმე ჩემისთანა მდგომარეობას.

თუმც ჩემს მოწაფეს მძიმე ნაკლულევანება არა ჰქონია, მაგრამ, რადგანაც სახლში სრულებით ყურ-უგდებლად დარჩენილა, ამისთვის ყმაწვილს მიუღია ზოგიერთი ცუდი თვისება, რომელიც უნდა გადამეგდებინა, რადგანაც ეს თვისება წარმოსდგა ცუდის აღზრდისგან. მაგალითად: ის უწყალოდ იგრიხებოდა ხოლმე და ისე საოცრად ყვიროდა, რომ მსმენელნი ვშიშობდით არ დავყრუებულ ვიყავით. მე წარმოვადგენ რამდენსამე მაგალითს, ის როგორ იქცევოდა და მეც როგორ ვებპყრობოდი, რომ ყველამ სცნას ამასში, თუ რამდენად გამოუდეგარია ჩვენებურად მოქცევა და ნიადაგ ყმაწვილის ჩიჩინი, რომ იმან მოიშალოს თავისი ცუდი ჩვეულება.

სადილზედ ვზივართ. ის სუპსა სჭამს. უცბათ ის ერთს არშინზედ უკან გააჩოჩებს სკამს და მრავალნაირის გრეხით და წმაწვნით იღებს თეფშიდამ ჩვენსა კოვზითა და მეორე ხელით დიდს პურის ნატეხს ქვეშიდამ შეუყუნებს.

— მაგას რას შვრები—მე ვკითხე.

— „ვსჭამო“-ის მეუბნება.

— განა მაგრე სჭამენ?—

— „დიახ, სჭამენ“! მე მინახავს, რომ სოფელში გლეხ-კაცები ასე სჭამენ“.

— ტანსაცმელს გაისერი მაგრე ჭამით.

— „არა, მე მუხლზედ სალფეთქი მიფენია“.

— კარგია, ეშმაკობას თავიდაანებე, დაჯექი, როგორც რიგია.

— „მე ასე მირჩევნია“. ის ისევ იმ რიგათა ზის. მე თავს ვანებებ, იმისთვის რომ არ მინდა უბრალო საქმისთვის ჩხუბი ავსტეხო. ის კი ამით ძალიან კმაყოფილი შეიქნა, რომ დამაჩუმა და უკანასკნელი სიტყვა მაინც იმას დარჩა. იმას იამა, რომ ვერ მოვაშლევინე თავისი მოქმედება. მეორეჯერ ამ ყმაწვილმა დაიწყო ძალლივით ყეფვა, მამალსავით ყივილი და კატასავით კნავილი. მოსამსახურეები იცინიან.

— ბაჩუმდი,—მე ვეუბნები.

— „ახლა მაინც ხომ არა ესწავლობთ“—ის მეუბნება.

— არა მაგრამ, ეგ ყვირილი მაინც არ არის სასიამოვნო.

— „მე რავუყო, რომ სასიამოვნო არ არის“. ყმაწვილი ყვირილს და წივილს მაინც არ იშლის.

— თუ ეშმაკობას არ მოიშლი, სხვა ოთახში დაგაჯდენ სადილათ.

„იქ კიდევ უკეთესი იქნება ჩემთვის“—იმან მიპასუხა. მე მართლაც ვიფიქრე, რომ იმისთვის იქ უფრო სამხიარულო იქნება, როდესაც შეხედავს, რომ იმას ოთახში ცალკე გაუშლიან სუფრას და რა რიგათ მოსამსახურენი საჭმელს მიართმევენ. ერთის სიტყვით იმას მართლა ძლიერ გაეხარდებოდა, როდესაც შეხედავდა, თუ რამდენს განსაცდელში იქნებოდნენ დიდები იმისთვის. მე ისევ თავს ვანებებ ყმაწვილს და ამით კიდევ უფრო დიდს დაბრკოლებას ვაძლევ ჩემს თავს.

ხან, მაგალითად: ის დაიწყებდა ჭამას საზარელის გრეხით და ღმეჭით, რომელზედაც ყველანი ასტეხდნენ ხოლმე ხარხარსა.

— თავი დანებე ღმეჭას,—მე ვეუბნები.

„თუ მაიმუნები იგრიხებიან, რატომ მეც არ უნდა ვიგრიხებოდე“.

— შენ კაცი ხარ და არა მაიმუნი.

„მერე რა ვუყოთ, ჩემთვის სულ ერთია“.

— მაგითი ისე მიეჩვევი ღმეჭას, რომ მერე რომ გინდოდეს, მაინც ველარ მოიშლი.

„თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, არ მივეჩვევი. თუ ეგრეა რატომ ტეატრში არ ვიგრიხები. იქ არც მინდა და არც ვიგრიხები.“

ხან ის რიგზედ დააწყობს ხოლმე თავის სათამაშოებს. ჩემი პატარა ქალი მივა ხოლმე იმასთან და დაუწყებს ხელის მოკიდებას სათამაშოებს. ის გააგდებს ხოლმე იმას და დაუწყებს ჯავრებას. მე დაუწყებ ხოლმე რიგებას, რომ ეგრე მოქცევა არ ვარგა; ვეუბნები, რომ თუ იმას სათამაშოებს არ ათხოვებ, შემდეგ როცა იმას ექნება არც ის გათხოვებს. „რასა-ჭიროა!“—ამაყად მომიგებს ხოლმე; მაგრამ კარგათ ვიცი, რომ იმას სათამაშოები ძალიან უყვარს და ესეც ვიცი, რომ არ შემიძლიან სადმე შევინიშნო, როდესაც ის ხელს მოჰკიდებს ხოლმე ჩემის ქალის სათამაშოებს.

ამ გვარი სამაგალითო საუბარი ხშირად მოხდებოდა ხოლმე ჩემსა და იმის შუა, სადაც ყოველთვის უკანასკნელი სიტყვა მაინც იმისი იყო ხოლმე. მაგრამ, როდესაც კარგათ დავრწმუნდი, რომ ამ გვარი მოქცევა ჩემის მხრით სრულიად უსარგებლო იყო, მაშინ განვიზრახე გულში, რომ სრულებით აღარ მივაქციო ყურადღება, იმის ცელქობას რადგანაც იმისი ეშმაკობა მხოლოდ მე მაჯავრებდა და სხვას კი აცინებდა. მე დავარიგე მოსამსახურეები, რომ იმის სიეშმაკეზედ არ გაიცინონ და მე კი სრულებით ყურადღებას არ მიქცევ[illegible]. ა[illegible] ეს [illegible] ჩემი ცდა. სადილზე ჩემმა მოწაფემ დაიწყო თავისებურათ სკამზედ ტრიალი, კლაკვნა და გრეხა. ის საშინლად გაჭკვირდა, რომ ამაზედ არავინ შენიშვნას არ აძლევს და არც არა ვინ იცინის. როცა ნახა, რომ საქმე კარგათ ვერ მოუხდა, ცოტა არ იყოს შერცხვა და კლაკვნას თავი დაანება. ღმეჭით რომ ვეღარა გააწყორა, შემდეგ ყვირილს მოჰყვა. მაგრამ ამითაც ვერა გაარიგა. ცელქს მეტის მეტი ყვირილით ყელი ეტკინა და მალე ჩაჩუმდა. მაგრამ იმას მაინც უნდა რითიმე გამახელოს. ნასადილევს ის ათამაშებდა ჩემის პატარა ქალის სათამაშოებს და უეცრათ წამოიძახა: „მე სათამაშო გავსტეხე!“ მაშინვე მიეხვდი, ეს რასაც ნიშნავს და სრულებით ხმა არ გავეცი. ის კიდევ ყვირის: „თავი მოვსტეხე!“—მე მშვიდობიანათ ვუთხარი: მერე რა ვუყოთ. —„როგორ რა უყოთ. მე ხომ უნდა გადეიხადო?“ ამბობს ის დიდის სიამოვნებით და ამასთან კიდეც უხარიან, რომ აი ეს ეს არის მე დაუწყებ იმას უწინდელსავით დარიგებას, რომ იმან სხვისი ნივთი არ უნდა გასტეხოს და რადგანაც გასტეხა უეჭველია კიდეც უნდა ზღოს; ის იტყვის, რომ მე ფული არა მაქვს, მე ვეტყვი, მაშ შენ უნდა გადიხადო მაშინ, როცა ფული გექნება: ის იტყვის—„მანამდის დამავიწყდება“ მე ვეტყვი,—მოგაგონებ და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით, ის მოელოდა დიდს დარიგებას და კიდეც საშინლად უხაროდა, რომ ჩვენს შორის ისევ უწინდებულად დიდი ბაასი ასტყდებოდა ამ სიტყვების გამო: „მე სრულებით არ გამიტეხია, მე თქვენ მოგატყუეთ.“ მაგრამ საშინლად მოსტყუედა.—მე სრულებით არ ვსაჭიროებ, რომ შენ ეს სათამაშო ზღო, ვუთხარი მე. აქ იმან აღარ იცოდა, რა ეთქვა და მშვიდობიანათ გამოაცხადა, რომ მე მართლა სათამაშო კი არ გამიტეხია, ისე ვიხუმრეო. აქაც დარიგების მაგივრად არა ვუთხარი რა და ის კი ისევ უწინდულათ გაშტერდა. მაგრამ ჩემი გაჯავრება მაინც ძალიან უნდოდა. იძან რიგზედ გაამწკრივა თავის სათამაშოები, რომ მიიტყუოს ჩემი ქალი, შემდეგ გააგდოს, აატიროს და მოისმინოს ჩემგან უნაყოფო დარიგება. მაგრამ მე პატარა ქალის თვალი სხვა საგანზედ მივაქციე, იმას აღარ უთხოვნია სათამაშოები და ცოტა-ხნის შემდეგ ჩემმა მოწაფემ თავის სათამაშოები ისევ შეინახა. ამით საქმე არ გათავებულა. მე წავედი კარისკენ, ის კარებში ჩადგა და ელოდა, რომ გაჯავრებით ვუბძანებ:—ბამიშვი! ის არ გამიშვებს მინამ ძალით ხელს არ ვკრავ, ისიც რა საკვირველია ხელსა მკრავდა და ამით გულს მოიჯერებდა. მაგრამ მე ვუთხარი, რომ სრულებით კარში გასვლა არ მინდა და დავრჩი ისევ ოთახში. ის იმავ წამს კარებს მოსცილდა, შემდეგ მე დავიწყე ოთახში სიარული, ის ცდილობს როგორმე ფეხებში გამომედვას, მაგრამ ამას ყურსაც არ უგდებდი. ის თავს მანებებს. ჩემი შინაურებიც დავარიგე, რომ ისინიც ჩემსავით მოქცევოდნენ, როცა სახლში არ ვიყავი ხოლმე. როცა სახლში დავბრუნდი, იმან მომახსენა, რომ მე უთქვენოთ ბევრი ვიყვირე და ვიცელქეო; იმას ეგონა, რომ უწინდულათ ვეტყოდი:—მერე კარგი გიქნია? ამის მაგივრად მე ვუპასუხე:—რა ვუყოთ, განა ვინმემ დაგიშალა? „არა“.—თუ გინდა ახლაც იყვირე; მაგრამ იმას ხმაც არ ამოუღია. შინაურებმა მითხრეს, რომ „მართლაც ყმაწვილმა გაოფებულსავით დაიწყო ყვირილი, მაგრამ რაკი შენიშნა, რომ არავინ ხმას არ სცემს, მალე გაჩუმდაო.

ამ რიგათ იმედი მაქვს, რომ ჩემს მოწაფეს სრულებით გავასწორებ. რასაკვირველია გამზრდელმა უნდა იცოდეს, როგორს ყმაწვილებს და რა შემთხვევაში უნდა მოეპყროს ამ გვარად: მე ვამბობ რომ ამ გვარმა ჩემმა მოქცევამ კეთილი ნაყოფი გამოიღო იმისთანა ყმაწვილში, რომელიც საშინლად გაუზნევებელი და თავის ნების იყო. რა საშვალობაც არ უნდა მოიხმაროს გამზრდელმა, ეს მაინც კარგათ უნდა იცოდეს, რომ ცუდის ჩვეულების მოსაშლელად ყმაწვილს ბევრი ლაპარაკი არ უნდა. მე შევნიშნე, რომ თვით შეუდარებელს მჭევრ-მეტყველობას და გულში ჩასავარდნელს სიტყვებსაც დიდი ზედმოქმედება არა აქვთ ყმაწვილზედ; ჯავრობა და სიცხარე მასწავლებლისა კი ძალიან უხარია ყმაწვილს, როდესაც იმას მასწავლებლის არ ეშინია.

როგორც ვიცი შკოლაში და სახლობაში ყმაწვილებს ხშირად დაუწყებენ ხოლმე ზნეობითს ქადაგებას, გაკიცხვას და დარიგებას. ამისთანა მოქცევა ძალიან ძვირად გამოიღებს კარგს ნაყოფს.

ზოგჯერ ყმაწვილი ისმენს თავის უფროსის დარიგებას; მაგრამ ის სრულიადაც არ შეუშვებს ყურში ამ დარიგებას; ზოგჯერ ყმაწვილს კიდეც უხარიან, რომ უფროსი იმასთან ვერას გააწყობს. ამით ის მაგიერობას შვრება იმ უკმაყოფილებისთვის, რომელსაც ყმაწვილი გამოსცდის ხოლმე დიდებისგან. ყმაწვილებს ძლიერ უნდათ ხოლმე დიდების გაჯავრება და მე მგონია უმჯობესია ამისთანა ხასიათის მოსაშლელად, უფროსმა ყმაწვილს ჯავრება არ დაუწყოს ეშმაკობისთვის, როდესაც ის ეშმაკობს უფროსის გასაჯავრებლად.

სხვა და სხვა ამბავი.

„რუსის ინვალიდში“ არის შემდეგი ამბავი ტყვეების გაქცევაზედ სიბირში; აღმოსავლეთის სიბირის ღენერალ-გუბერნატორმა მოახდინა განკარგულება, რომ ამ წელს მთელს ზაფხულს 710 კაცი პოლიტიკური დამნაშავენი პოლშელებთგანი გამოეწვევინათ სამუშაოთ. პოლკოვნიკის ჩერნავინის მორჩილების ქვეშ ბაიკალის გარემო-გზაზედ: მუშაობაზედ ზედამხედველობა ჰქონდა მინდობილი იჟინრის პოდ-პოლკოვნიკს შაცსა. ამ დამნაშავების ერთმა პარტიამ, რომელიც 50 კაცამდის იყო შედგენილი, 24 ივნისს ღამით წაართვა იარაღი ყარაულებს და ამ ცხენებით და წართმეული იარაღით მიჰმართა ბაიკალის ტბის ნაპირებს, რომ ის შეერთებულიყო სხვა მუშების პარტიებთან. გზაზედ იმათ გაცარცვეს ერთი საპოჩტო სტანცია, წაახდინეს ტელეგრაფის ძაფი და, როცა იმათ პარტიებიც შეუერთდნენ, შემდეგ ყველანი ერთად წავიდნენ პოსოლსკისკენ.

როგორც სჩანს, იმათ წინათ-მოსაზრებული პლანი არა ჰქონიათ, რადგანაც ისინი იმისთანა ადგილზედ იდგნენ, სადაც გაქცევა ძნელი მოსახერხებელია. იმ ადგილს, სადაც დამნაშავენი მუშაობდნენ, საზღვრავს ერთის მხრით განუვალი ტყე, მეორეს მხრით ბაიკალის ტბა, მესამეს მხრით კი მიდის გზა პოსოლსკისკენ, მაგრამ ეს გზა მთის მდინარეებისგან საშინლად წამხდარია.

იმავ წამს მოახდინეს იმისთანა განკარგულება, რომელიც შეესაბამებოდა თვით ადგილსა და გარემოებას. ამ განკარგულებას კარგი ბოლო მიეცა. ბაგზავნეს ერთი ნაწილი ჯარისა გემებით ბაიკალის გარემო-გზაზედ დასახდომათ და მეორე ნაწილი პოსოლსკისკენ. ამის გარდა ტელეგრაფით აცნობეს ვერხნეუდინსკს, სელენგინსკს და ხარაცინსკის სტანციას, რომ თუ ჩინეთის საზღვრებისკენ გასწიეს დამნაშავეებმა, მიუცილემლად თვალყური ადევნონ. ჯერ ტყვეებს უნდოდათ ჩხუბი გაემართათ, მაგრამ, როდესაც ნახეს, რომ ისინი იყვნენ გარს ჯარებით შემორტყმულნი, მაშინ დაიწყეს თითო კაცობით და პარტიობით ტყიდამ გამოსვლა და დამორჩილება. ამ რიგათ 11 ივლისს 494 კაცი მოიყვანეს ქ. ირკუტსკს და ჩასვეს ციხეში. ამის გარდა ვ[illegible] მოჰკლეს; ავათ მყოფნი, დაჭრილნი და იარაღიანათ შეპყრობილნი 45 კაცამდის არის. დანარჩენნი დამნაშავენი ბაიკალის მთებში გაიფანტნენ და საძებრად გაგზავნილი კაცები იმათ თითოთითოდ იჭერდნენ. 25 ივლისს ტყვეების დაჭერა მთელად გაათავეს. ამ გაქცეულებში სამი თავი კაცი შეიპყრეს: შარომოვიჩი, ცელინსკი და ძოტკოვსკი. როცა გარემოითვალეს, გაქცეულებს მხოლოდ ორი კაცი აკლდათ, რომელნიც ვერ დაიჭირეს. ჩვენის მხრით მოკლეს პარუჩიკი პოროხოვი, ადგილის ჯარების სამმართველოს უფროსი ადიუტანტი; დაჭრილი კი მხოლოდ ხუთი კაცია.

ბაიკალი გარემო-გზის გარდა, სხვაგან პოლიტიკური დამნაშავენი არსად არ გაქცეულან. როგორც კი გლეხებმა გაიგეს ეს ამბავი იმ წამს ყველანი, რაც ხელში მოხვდათ, იმით შეიარაღდნენ და ეხმარებოდნენ ჯარებს ტყვეების დაჭერაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го августа 1866 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.